



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/3409
13/05/2019

3409-09-2-201905131556



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

N3-326 წერილის (06.05.2019) პასუხად გაცნობებთ, რომ ი/მ „მაღხაზ კახაძესთან“ და შპს „iProduct“-ში აღმოჩენილი სურსათის ტყვიით დაბინძურების წყაროს დასადგენად განხორციელდა შემდეგი ქმედებები: ი/მ „მაღხაზ კახაძე“-ს ინსპექტირების დროს მიკვლევადობით დადგინდა, რომ აღნიშნული სურსათით იგი მარაგდება ი/მ „გაგა დგებუაძე“-სგან (ს/კ 60001035014 მის: ქ.ქუთაისი, გამსახურდიას ქ.N121). იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ ი/მ „გაგა დგებუაძე“-სთან განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება. ინსპექტირებისას დაფიქსირდა კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე, ხოლო არაკრიტიკული შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად განესაზღვრა გონივრული ვადა. ინსპექტირებისას ასევე დაფიქსირდა სურსათის მიკვლევადობის და ეტიკეტირების წესის დარღვევები. სუნელების საწარმოში მზა სურსათი არ აღმოჩნდა, იყო მხოლოდ უცხო სუნელი ნედლეულის სახით (სუნელებს ნედლეულის სახით იღებს ფიზიკური პირებისგან). ი/მ „გაგა დგებუაძე“-ს დაევალა, საწარმოო პროცესის გაგრძელებისას გამოიკვლიოს წარმოებული მზა სურსათი (დაფქვილი უცხო სუნელი) ტყვიის შემცველობაზე. ნიმუშის აღება უნდა განხორციელდეს სეს-ოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირის ზედამხედველობით. ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესის გაგრძელების თაობაზე სააგენტოსთვის ჯერ არ მოუმართავს.

შპს „iProduct“-ს სუნელებით ამარაგებდა ი/მ „ნანა ფალიანი“, რომლის შემოწმების დროსაც ხმელი სუნელი ადგილზე არ აღმოჩნდა. ბიზნესოპერატორის განცხადებით, „iProduct“ სუნელს „ნანა ფალიანისგან“ იძენდა დაფასოების გარეშე, თვითონ „ნანა ფალიანი“ კი აღნიშნულ სურსათს

ყიდულობდა ბაზარზე. უშუალოდ შემოწმების დროს ი/მ „ნანა ფალიანი“ ყველა ნედლეულს იძენდა შპს „ჯეო“-სგან.

დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „ჯეო“-ს ინსპექტირებისას ბიზნესოპერატორმა წარმოადგინა ლაბორატორიული გამოცდის ოქმები, რომლის თანახმად, სუნელები შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

